



საქართველო  
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.  
LAGODEKHI  
2700 GEORGIA  
LAGODEKHI MUNICIPALITY  
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000041427237620

№ 48-ი

30 / დეკემბერი / 2020 წ.

## განკარგულება

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 156-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

#### მუხლი 1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოსთან შეთანხმების საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელიც აჭარბებს არსებული საშტატო ნუსხის რიცხოვნობის 5% -ს, განისაზღვროს 10 ერთეული შრომითი ხელშეკრულებით.

#### მუხლი 2

განკარგულება ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან.

#### მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად

კარლო ჯამბურია